საკონკურსო განცხადება

1. დმანისის მუნიციპალიტეტი (მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქ. 41) აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია შემდეგი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება:

1) აბრა-მონუმენტი მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში;

2) სოფლების - დიდი დმანისის, ვარდისუბნის, განთიადის და ქ. დმანისის ცენტრალური გზის მიმდებარედ არსებული ღობეების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია;

3) ქ. დმანისის შემოსასვლელში არსებული მონუმენტისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

4) ქ. დმანისის შემოსასვლელში 800 მეტრიანი ღობის დემონტაჟი და დეკორატიული ღობის მოწყობა.

5) ქ. დმანისიში აღორძინების ქუჩაზე არსებული შენობის რემონტი რიტუალების სახლის მოსაწყობად;

6) ქ. დმანისში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე არსებული შენობის რემონტი საჭიდაო დარბაზის მოსაწყობად.

7) ქ. დმანისის ქუჩების გარე განათებისა და 9 აპრილის ქუჩის დეკორაციული განათების მოწყობა.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 5600 (ხუთიათასექვსასი) ლარი.

2. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

2.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge)

2.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საინდიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საინდიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

2.3 დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3. კონკურსი ჩატარდება **10 მაისს 16 საათზე.**

4. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისთვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

5. კონკურსანტ(ებ)მა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე დალუქული პაკეტით, კონკურსში მონაწილეობაზე განცხადებასთან ერთად **2011 წლის 10 მაისს 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქ. 41, მესამე სართული (საკრებულოს კანცელარია).

6. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს საკონკურსო წინადადების წარდგენის დღიდან არანაკლებ **20 კალენდარული დღე.**

7. კონკურსანტმა საკონკურსო წინადება უნდა წარმოადგინოს **ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.**

8. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს კონკურსანტის მიერ, ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

5.შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება დაბალი ფასის მქონე საკონკურსო წინადადებას. თუ კონკურსანტების მიერ შემოთავაზებული ფასი იქნება ერთიდაიგივე, უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც ექნება მეტი ღირებულების ანალოგიური ხასიათის შესრულება, ბოლო სამი წლის განმავლობაში.

9. კონკურსი ტარდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის საფუძველზე.

10. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საკონკურსო კომისის.

საკონკურსო კომისია **ტელეფონი: 8360 2 11 53**

ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. კონკურსანტის საკონკურსო წინადადება *ტექნიკური მოთხოვნების* სახით უნდა შეიცავდეს შემდეგი ინფორმაციას და დოკუმენტებს:

1.1 ცხრილი №1 შევსებული სრულყოფილად

ცხრილი №1

1.	კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2.	ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი	
3.	კონკურსანტის იურიდიული მისამართი	
4.	კონკურსანტის ფაქტიური მისამართი	
5.	საიდენტიფიკაციო კოდი	
6.	ტელეფონის ნომერი	
7.	ელექტრონული მისამართი	
8.	მომსახურე ბანკი	
9.	ბანკის კოდი	
10.	ანგარიშის ნომერი	
11.	შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასი	
12.	საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა (საკონკურსო წინადადების წარდგენის დღიდან არანაკლებ 20 კალენდარული დღე)	

(ორგანიზაციის დასახელება)

(ხელმოწერა ბ.ა)

1.2 . ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტი	გასაწევი მომსახურების ღირებულება (ლარი)	მომსახურების გასაწევის ვადა
1.	აბრა-მონუმენტი მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში		25.06.2011წ.
2.	სოფლების - დიდი დმანისის, ვარდისუბნის, განთიადის და ქ. დმანისის ცენტრალური გზის მიმდებარედ არსებული ღობეების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია		25.06.2011წ.
3.	ქ. დმანისის შემოსასვლელში არსებული მონუმენტისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა		25.06.2011წ.
4.	ქ. დმანისის შემოსასვლელში 800 მეტრიანი ღობის დემონტაჟი და დეკორატიული ღობის მოწყობა		25.06.2011წ.
5.	ქ. დმანისიში აღორძინების ქუჩაზე არსებული შენობის რემონტი რიტუალების სახლის მოსაწყობად		25.06.2011წ.
6.	ქ. დმანისში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე არსებული შენობის რემონტი საჭიდაო დარბაზის მოსაწყობად		25.06.2011წ.
7.	ქ. დმანისის ქუჩების გარე განათებისა და 9 აპრილის ქუჩის დეკორაციული განათების მოწყობა		25.05.2011წ.
	სულ ჯამი:		

(ორგანიზაციის დასახელება)

(ხელმოწერა ბ.ა)

1.3. ინფორმაცია ანალოგიური ხასიათის მომსახურებაზე შესახებ

№	დამკვეთი ორგანიზაციის დასახელება	მომსახურების გაწევის ვადა (დაწყება - დასრულება)	ხელშეკრულების ღირებულება
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
...			

* ცხრილით (1.3.) წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ბოლო სამი წლის მანძილზე (2008 წლის იანვრიდან) ანალოგიური ხასიათის (საპროექტო მომსახურება) გაწეულ მომსახურებაზე გამოცდილებას, მინიმუმ 50000 ლარის ღირებულების. აღნიშნულის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები (1.3 ცხრილის მიხედვით) (ხელშეკრულებები - მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ით), უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადებას.

--- ---

(ორგანიზაციის დასახელება) (ხელმოწერა ბ.ა)

2. კონკურსანტის საკონკურსო წინადადებას უნდა დეერთოს *საკვალიფიკაციო მონაცემების* დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

2.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

2.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული დოკუმენტები (პუნქტი მე-2) გაცემული უნდა იყოს საკურსო განცხადების სისტემაში განთავსების შემდეგ პერიოდში.

3. კონკურსანტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების შემთხვევაში სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1 საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს:

1) აბრა–მონუმენტი მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში, განათება მზის ენერგიის სანათებით, უნდა შეიცავდეს დმანისის სიმბოლიკებს.

პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს.

2) სოფლების: დიდი დმანისის, ვარდისუბნის, განთიადის და ქ. დმანისის ცენტრალური გზის მიმდებარედ არსებული ღობეების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, არსებული ღობეები მოპირკეთდეს რიყის ქვით, ზემოდან მოეწყოს რკინის მესერი.

პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 850 000 (რვაას ორმოცდაათი ათასი) - 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს.

3) ქ. დმანისის შემოსასვლელში არსებული მონუმენტისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, მონუმენტისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია და მონუმენტის ტერიტორიის განათება.

პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 30000 (ოცდაათი ათასი) ლარს.

4) ქ. დმანისის შემოსასვლელში 800 მეტრიანი ღობის დემონტაჟი და დეკორატიული ღობის მოწყობა რიყის ქვით და რკინის მესერით.

პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 105000 (ასხუთი ათასი) ლარს.

5) ქ. დმანისში აღორძინების ქუჩაზე არსებული შენობის რემონტი რიტუალების სახლის მოსაწყობად.

ა) ფასადის რეაბილიტაცია (შელესვა, დაშხეფება-შეღებვა)

ბ) დამხმარე ნაგებობების აშენება (სამზარეულო, საკუჭნაო, 2 საპირფარეშო 4-4 წერტილზე).

გ) ცენტრალური გათბობის მოწყობა

დ) სახურავის მოწყობა, ხის კონსტრუქციითა და თუნუქის ფურცლით

ე) კარ-ფანჯრის მოწყობა მეტალოპლასტმასით.

ვ) ვიტრაჟის მოწყობა მეტალოპლასტმასით.

ზ) ინტერიერი: კედლებისა და ჭერის მოწყობა გიფსოკარდონით

თ) საკანალიზაციო და წყლის სისტემის მოწყობა

ი) დარბაზის იატაკის მოწყობა მეტლახით

კ) შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 160000 (ასსამოცი ათასი) - 200000 (ორასი ათასი) ლარს.

6) ქ. დმანისში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე არსებული შენობის რემონტი საჭიდაო დარბაზის მოსაწყობად:

ა) ფასადის რეაბილიტაცია (შელესვა, დაშხეფება-შეღებვა)
ბ) სახურავის მოწყობა-ხის კონსტრუქციითა და თუნუქის ფურცლით
გ) საკანალიზაციო და წყლის სისტემის მოწყობა
დ) შენობაში საშხაპე ოთახების მოწყობა
ე) ცენტრალური გათბობის მოწყობა
ვ) კარ-ფანჯრის მოწყობა მეტალოპლასტმასით
ზ) გასახდელი ოთახების მოწყობა
თ) მაყურებლებისათვის დასაჯდომი ადგილების მოწყობა (ხის კონსტრუქციით იარუსების მოწყობა)
ი) ინტერიერის მოწყობა, კედლების შელესვა-შეღებვა, ჭერის მოწყობა გიფსოკარდონით.
კ) შენობაში ხის იატაკის მოწყობა
ლ) მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.
პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 130000 (ასოცდაათი ათასი) – 160000 (ასსამოცი ათასი) ლარს.

7) ა) ქ. დმანისის ქუჩების გარე განათების მოწყობა, 110 ც. სანათზე.
ბ) 9 აპრილის ქუჩის დეკორაციული განათების მოწყობა 10ც. სანათზე.
პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 25 000 (ოცდახუთი ათასი) - 28 000 (ოცდარვა ათასი) ლარს.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია თითოეული ობიექტისათვის უნდა მოიცავდეს:

1. განმარტებით ბარათს;
2. შესაბამის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას;
3. შესაბამის ნახაზებს და სპეციფიკაციებს.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა დამზადდეს 3 ეგზემპლიარად, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული ვერსია.

შენიშვნა: საპროექტო სამუშაოების დაგეგმარება შეთანხმებული უნდა იქნას დმანისის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურთან.

პროექტი

ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, საკონკურსო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. დმანისი ---- ---------- 2011წელი

ერთის მხრივ **დმანისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ბაკურ მგელაძის სახით და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი ---------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და კონკურსანტის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საპროექტო მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ------- (----------) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერაზე უფლებამოსილი პირი დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებიდან ----------.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს ----------

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე, შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
დმანისის მუნიციპალიტეტი	----------
მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41	მის.: ----------
საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391	საიდენტიფიკაცო კოდი: ----------
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“	საბანკო რეკვიზიტები: ----------
დმანისის ფილიალი	----------
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: ----------
ანგარიშის ნომერი: GE75LB0120150345333000	ანგარიშის ნომერი: ----------
ტელ.: 8(260) 2-24-24	ტელ.: ----------

დმანისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

_____ ბაკურ მგელაძე

_____